

შპს „სანალია“-ს

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს სანალია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	9073	14884	24205	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	11307	22379	64062	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	333514	271323	63739	3.3
მარაგები	363215	362521	361422	
მ.შ. - შპს პროდუქცია				
- სხვა მარაგი	363215	362521	361422	3.4
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები		2617	52690	
სხვა არამატერიალური აქტივები	1703			
ძირითადი საშუალებები	3383000	3827717	4298919	3.5
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	4101812	4501441	4865037	
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	2982	5381	5116	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	14001			
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4682616	4264700	4180199	3.6
სხვა ვალდებულებები	728	591	352	
სულ ვალდებულებები	4700327	4270672	4185667	
საკუთარი კაპიტალი				3.7
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	3395108	3395108	3395108	
საემისიო შემოსავალი				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-3993623	-3164339	-2715738	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	-598515	230769	679370	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4101812	4501441	4865037	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2021 წ.

დირექტორი _____ სულიკო მახარაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს სანალია

საქმიანობის შედეგები

ერთეული: I GEL

შენიშვნა

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2021
ნეტო ამონაგები	731246	690330
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან		
- მომსახურების გაწევიდან	731246	690330
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა ამონაგები		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
- საწყისი მარაგები		
- მარაგების შესყიდვა		
- გადამუშავების დანახარჯები		
- საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	731246	690330
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5083	180
დასაქმებულთა ანაზღაურება	-214441	-196690
ცვეთა და ამორტიზაცია	-454906	-472620
საპროცენტო შემოსავალი	8623	4629
საპროცენტო ხარჯი	-171926	-158684
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-125566	-121029
სულ საოპერაციო ხარჯები	-953133	-944214
საოპერაციო მოგება	-221887	-253884
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		
მ.შ. - ფინანსური აქტივების		
- მარაგების		
- სხვა არაფინანსური აქტივების		
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-607390	-194173
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	-7	-544
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-829284	-448601
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-829284	-448601
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი		
მირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-829284	-448601
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	230769	679370
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-598515	230769

3.8

3.9

3.7

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2021 წ.

დირექტორი _____ სულიკო მახარაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს სანალია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	396190	448763
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-402000	-458085
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-5810	-9322
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	14883	24205
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	9073	14883

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2021 წ.

დირექტორი _____

სულიკო მახარაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სანალია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2000 წლის 7 მარტს შუახევის რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 06/4-22. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 247860998, იურიდიული მისამართი - საქართველო, შუახევის რაიონში, სოფ.მახალაკიძეები. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ჩირუხ-სანალიას ჰესი“ (ს/ნ 404886423), რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ დევიდ შიტრიტი (3-4117804-4, 29447424 - ისრაელი).

1.3. კომპანიის დირექტორია ფ/პ სულიკო მახარაძე (პ/ნ 61010000278).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურის მიერ და მისი რეალიზაცია.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, შუახევის რაიონში, სოფ.მახალაკიძეები (სადაც მდებარეობს ჰიდროელექტროსადგური).

1.5. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 17 ადამიანს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული

გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით..

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური

მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

კომპანიის ფულადი სახსრები მთლიანად შედგება კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში არსებული თანხისაგან.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მთლიანად შედგება საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მთავარი პარტნიორის - სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიმართ არსებული მოთხოვნისაგან.

3.3. სხვა პირებზე გაცემული ავანსები და სესხები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	13414	12180	6917
შეცდომით გადარიცხული თანხები	700	700	700
ანგარიშსწორებანი საპენსიო სააგენტოსთან	0	2	
წინასწარ ანაზღაურებული დაზღვევა	335		310
მისაღები პროცენტები	14064	5442	812
გაცემული გრძელვადიანი პროცენტის სესხები	305000	253000	55000
სულ:	333514	271323	63739

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	1120	779	61
საწვავ-საცხები მასალები	2619	2267	1885
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ჯარი	359475	359475	359475
სულ:	363215	362521	361422

შპს „სანალია“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მირის ნაკვეთები	10940	0		10940	0		10940
შენობები	475074	0	32649	507723	0	32649	540372
ნაგებობები	476066	0	40919	516985	0	40919	557903
მანქანა-დანადგარები	208646	0	36168	244813	0	36168	280981
თბოტექნიკური და ტურბინული	1951461	0	278138	2229599	0	279618	2509217
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	152808	0	22788	175596	0	25566	201162
ელექტროგადამცემის საშუალებები	61312	0	31528	92840	0	31572	124412
მილსადენები	32869	0	6378	39246	0	16212	55458
ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები	301	0	875	1176	0	875	2051
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავთვის გაზრდა	8706	5026	1093	4773	1164	1381	4989
კომპიუტერული ტექნიკა	502	0	262	764	0	420	1184
მსუბუქი ავტომობილები	0	0		0	0		0
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	4316	5163	4109	3262	254	7241	10249
სულ:	3383000	10190	454906	3827717	1419	472621	4298919

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

კომპანია დაფუძნებულია 2000 წელს. მისი ზოგიერთი ძირითადი საშუალება უკვე ბევრი წელია მის მფლობელობაშია. ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 3042529 ლარს,

2019 წლის ბოლოს - 2587623 ლარს.

3.6. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში	539474	872073	1105472
ანგარიშსწორებანი ევროებში EURO	1399573	1087267	1012190
ანგარიშსწორებანი აშშ დოლარებში USD	2743569	2305360	2062537
სულ:	4682616	4264700	4180199

3.7. საკუთარი კაპიტალი:

კომპანია დაფუძნებულია 2000 წელს. შესაბამისად მისი დაგროვილი ზარალი ფორმირებულია მისი დაფუძნების პერიოდიდან.

3.8. ნეტო ამონაგები:

კომპანიის ამონაგები მთლიანად შედგება წარმოებული ელექტროენერგიის მიწოდებიდან.

3.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2020 წელი	2019 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა	85	
დამხმარე მასალების დანახარჯები / შეძენა	31	
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები		1475
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები	1319	1433
მარკეტინგული ხარჯები	504	
ელექტროენერგიის მიწოდებისას წარმოქმნილი დანაკარგები	29258	25424
მიწოდების სხვა ხარჯები	3213	3387
ელექტროენერგიის ხარჯები	331	254
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	210	
საკანცელარიო ხარჯები	305	201
კომპიუტერის ხარჯები	125	
კომუნიკაციის ხარჯები	2108	1837
დაზღვევის ხარჯები, გარდა პერსონალის დაზღვევაზე გადახდილისა	18454	18454
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	4194	3619
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	1000	1020
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	14407	12712
საფოსტო-საკურიერო მომსახურების ხარჯი	57	140
საგადასახადო ხარჯები	38664	43456
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	275	305
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (გარდა ავტომანქანებისა)	118	
ავტომანქანების რემონტის ხარჯები		399
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	1263	597
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	4866	1074
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები	473	
სასტუმროს მომსახურება	225	165
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვეითება	4080	5077
სულ:	125565	121029

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 29 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	9073	14884	24205	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	11307	22379	64062	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	333514	271323	63739	3.3
მარაგები	363215	362521	361422	
მ.შ. - შპს პროდუქცია				
- სხვა მარაგი	363215	362521	361422	3.4
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები		2617	52690	
სხვა არამატერიალური აქტივები	1703			
ძირითადი საშუალებები	3383000	3827717	4298919	3.5
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	4101812	4501441	4865037	
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	2982	5381	5116	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	14001			
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4682616	4264700	4180199	3.6
სხვა ვალდებულებები	728	591	352	
სულ ვალდებულებები	4700327	4270672	4185667	
საკუთარი კაპიტალი				3.7
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	3395108	3395108	3395108	
საემისიო შემოსავალი				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-3993623	-3164339	-2715738	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	-598515	230769	679370	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4101812	4501441	4865037	

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია გამოსაქვეყნებლად 29.09.2021 წ.

დირექტორი  სულიკო მახარაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



ერთეული: GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	731246	690330	3.8
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	731246	690330	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
- საწყისი მარაგები			
- მარაგების შესყიდვა			
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	731246	690330	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5083	180	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-214441	-196690	
ცვეთა და ამორტიზაცია	-454906	-472620	
საპროცენტო შემოსავალი	8623	4629	
საპროცენტო ხარჯი	-171926	-158684	
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-125566	-121029	3.9
სულ საოპერაციო ხარჯები	-953133	-944214	
საოპერაციო მოგება	-221887	-253884	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-607390	-194173	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	-7	-544	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-829284	-448601	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-829284	-448601	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:	-829284	-448601	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	230769	679370	3.7
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-598515	230769	

ფინანსური ანგარიშგების დაბეჭდილება გამოსაქვეყნებლად 29.09.2021 წ.

დირექტორი

სულიკო მახარაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები პრის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთუქლი: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	396190	448763
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-402000	-458085
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-5810	-9322
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	14883	24205
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	9073	14883

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2021 წ.

დირექტორი

სულიკო მახარაძე

თანმზღოები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.